ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ — 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1978 წ. — № 170 (17214) — ᲦᲐᲜᲘ 2 ᲙᲐᲞ.

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმრეწვის“ მრავალათასიანმა კოლექტივმა, რომელიც დამკვრელური წლის ფართოდ გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არის ჩაბმული, დიდ წარმატებას მიაღწია.

სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და მისი რეალიზაციის დავალების შესრულება ქიმიკოსებმა სახელმწიფოს ვადაზე ადრე უპატაკეს. გეგმის ჯამდებებით მომხმარებელმა მიიღო 600 ათასი მანეთის სხვადასხვა ქიმიური პროდუქცია. ამ ხნის მანძილზე გაერთიანების საწარმოებში შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზარდა და, რაც მთავარია, მთელი გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ უმაღლესი და პირველი ხარისხისაა.

მიღწეული წარმატება დიდად განაპირობა რაჭის სამთო-ქიმიური კომბინატის, მახარაძის მაღაროთა-სამმართველოს და „საქგუმბრინის“ კოლექტივების თავდადებულმა შრომამ.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ახალ მნიშვნელოვან შრომითს წარმატებას მიაღწიეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა მეათე ხუთწლედის მესამე წელს. ექვსი თვის გეგმა მათ ვადაზე ერთი კვირით ადრე გაანაღდეს. დარჩენილი დღეების ანგარიშში გეგმის გადამეტებით სულ წარმოებული და რეალიზებულია შესაბამისად მილიონ 650 და მილიონ 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

დამკვრელური წლის განვლილ პერიოდში სახელმწიფო დავალების ვადაზე ადრე შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მანგანუმის სამთამადნო კომბინატის, ჩაის ფაბრიკის, პურკომბინატის, სამრეწველო კომბინატის და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ, ᲞᲣᲠᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲗᲐ. (ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲘᲗ).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ: ᲗᲘᲗᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲐ

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲨᲘᲜ ᲛᲝᲛᲘᲙᲝᲛᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ

ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ

ᲤᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის კომბაინერის თ. იაკობაშვილის პატრიოტულ თაოსნობას მხარს ვუჭერ, ვებმები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაზეთ „კომუნისტის“ redაქციის მიერ დაწესებული ვიმპელისა და ფასიანი საჩუქრის მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობას ვიძლევი ვიმუშავო იპატოვოულ მემანდვრე მექანიზატორთა მეთოდით. შეუფერხებლად ვამუშაო კომბაინი, 12 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი ავიღო 200 ჰექტარზე, თითოეულ ჰექტარზე გავლეწო 28 ცენტნერი მარცალი. დავზოგო 4 პროცენტი საწვავი და შეკამცირო მარცლეულის დანაკარგები.

Ზ. ᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲔᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲔ თაოსნობა გამოიჩინა ᲬᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲘᲡ კოლმეურნეობის ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ თაოსნობას მხარს ᲕᲣᲭᲔᲠ, ᲕᲔᲑᲛᲔᲑᲘ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაზეთ „კომუნისტის“ redაქციის მიერ დაწესებული ვიმპელისა და ფასიანი საჩუქრის მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობას ვიძლევი ვიმუშავო იპატოვოულ მემანდვრე მექანიზატორთა მეთოდით. ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘ, 12 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი ავიღო 200 ჰექტარზე, თითოეულ ჰექტარზე გავლეწო 28 ცენტნერი მარცალი. დავზოგო 4 პროცენტი საწვავი და შეკამცირო მარცლეულის დანაკარგები.

Ზ. ᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲔᲓᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ.

420 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. გუშინ მოიკრიფა 990 ტონა, სეზონის დაწყებიდან — 49.741 ტონა ფოთოლი, წელს გეგმა-ვალდებულებით მოსაკრეფია 75.000 ტონა ჩაის ნედლეული.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. გეგმა-ვალდებულებით მოსაკრეფი 38.700 ტონიდან გუშინ მოიკრიფა 630 ტონა, ხოლო სულ სეზონის დაწყებიდან — 23.301 ტონა ფოთოლი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 32.386 ტონა, გუშინ — 645 ტონა ფოთოლი. გეგმა-ვალდებულებით მოსაკრეფია 56.353 ტონა ჩაის ნედლეული.

ᲩᲮᲝᲚᲐᲢᲐᲣᲠᲘ. გეგმა-ვალდებულებით მოსაკრეფია 11.600 ტონა ფოთოლი, მოკრეფილია 8.614 ტონა, გუშინ — 167 ტონი ფოთოლი.

ᲒᲔᲒᲛᲐ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ გამარჯვება მოიპოვეს ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის შეჯიბრებაში ჩაებნენ და გადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულების გადამეტებით კიდევ 700 ტონა ნედლეული მიაყიდოს სახელმწიფოს.

დამკვრელურად მუშაობენ ამ დღეებში რაიონის მწვანე პლანტაციების მშრომელები. მათ უკვე დაამზადეს 5.600 ტონა ნედლეული — 100 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პეროდში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: კროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხოცალიხტური შრომის გმირი შალვა კემულარია გარდამავალ ვიმპელს გადასცემს ნაუკეთესო მეჩაიეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ეხოერ ღურწკაიას, რომელმაც მეურნეობაში პირველმა შეასრულა პირადი ხუთწლედი.

Ე. ᲨᲣᲚᲔᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲩᲐᲙᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ყირიმში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის საკითხებს. მის შემდგომ განვითარების ხელს შეუწყობს იმ მორიგებათა განხორციელება, რომლებიც მიღწეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ამასწინანდელი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს 1990 წლამდე გათვალისწინებული საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამის ორგანულ დაკავშირებას თანამშრომლობის გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამებთან, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 32-ე სესიამ მოიწონა.

საერთაშორისო საკითხთა განხილვისას ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნატოს საბჭოს ვაშინგტონის სესიის გადაწყვეტილებანი და დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა მოქმედება გამალებული შეიარაღების გასაძლიერებლად მიზნად ისახავენ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას. ამ ხაზს ეკვრის პეკინის სგგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც დაძაბულობის გამწვავებას ლამობს.

საუბრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმის თაობაზე, რომ ჩინეთი პროვოკაციულ მოქმედებს მიმართავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ ურღვევია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც თავის კანონიერ უფლებებს, თავისი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ღირსებას იცავს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ გარკვეული იმპერიალისტური წრეების ცდები, რომლებსაც თავი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქომაგებად მოაქვთ, თავიდან ბოლომდე პირფერულია. სინამდვილეში მათ ალაპარაკებთ სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების საშინაო საქმეებში ჩარევის სურვილი.

შეაფასეს რა მთლიანად საერთაშორისო ვითარება, ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ხალხთა მისწრაფება მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისადმი არის და იქნება საერთაშორისო განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის შეხვედრამ ერთსულოვნების, მეგობრობისა და გულთადობის ვითარებაში ჩაიარა.

საკდესი.

ᲖᲛᲘᲛᲘ ᲠᲐᲖᲚᲘᲕᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. (საკდესის კორ.). რაზლივში გაიმართა ზეიმი, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის ძეგლ-მუზეუმის „ქობის“ 50-ე წლისთავს.

პროლეტარიატის ბელადი, აქ დროებით მთავრობის მაძებრებს რომ ემალებოდა, პარტიას ამზადებდა შეიარაღებული აჯანყებისათვის, მუშაობდა ცნობილ წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია“. ვლადიმერ ილიას ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ პერიოდის შესახებ გვიამბობს მუზეუმის ექსპოზიცია. ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი 16 მილიონმა კაცმა დაათვალიერა.

ლენინის მემორიალთან გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის ვეტერანები, შრომითი კოლექტივებისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲓᲐ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ „დაუცხრეველია შენი გმირობა, მინსკო!“. აქ დაბეჭდილია მასალები 1978 წლის 25 ივლისს ქალაქისათვის ლენინის ორდენისა და მედლის „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემასთან დაკავშირებით გმირ ქალაქ მინსკში გამართულ დღესასწაულობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლის შესახებ.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ პირველი და მეორე გვერდები უჭირავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის თ. დ. კულაკოვის დაკრძალვისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგის მასალებს.

ამ ნომერში დაბეჭდილია **ა. პაუიტნევის — „მკა ტემპს ანვითარებს“** (მოსავალი-78), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის **ი. ხუბოცკის — „მცირე წარმოება“** (მეურნეობა ეფექტიანად), აკადემიკოს **ა. ტროფიმუკის — „ცომბირული გაქანება“** (სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად), **კ. პარამონოვის — „მინისტრობა მინდა“** (კინო).

ამ დღეებში ყველგან იწყობა პარტიული კომიტეტების პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები. გამოხატავენ რა სოფლის მშრომელების, ფაბრიკა-ქარხნების, მუშების, მეცნიერების ფიქრებსა და მისწრაფებებს, ისინი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, **„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“** ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მოხსენებაში მოცემულ დებულებებსა და დასკვნებს, განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის იღებენ მათ. მკაცრად, ღრმად ანალიზდება პარტორგანიზაციების მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, ისახება ახალი, უფრო მაღალი მიზნები, რომლებსაც უნდა მიაღწიონ. მიღებულ დადგენილებებსა და რეზოლუციებში კომუნისტები აღუთქვამენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყველაფერს იღონებენ დასახულის განხორციელებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ პერსპექტიული ამოცანები მიმდინარე ამოცანებთან მჭიდრო კავშირით წყდებოდეს, უზრუნველყოფილი იყოს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წარმატებით დამთავრება, რუბრიკით — **„განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები“** გამოქვეყნებულია სიმხეთსა და კუბიბიშევის ოლქში გამართული პლენუმის ანგარიში (**„წინ ახალი მიჯნებია“**).

მკითხველი ამ ნომერში ნახავს ავრეთვე ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის **ლუის კორვალანის** წერილს — **„ხალხი გადაწყვეტს თავის ბედს“**.

გაზეთი კვლავ აქვეყნებს საერთაშორისო, საკავშირო და სპორტულ ინფორმაციას.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲐᲒᲠᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲢᲣᲜᲓᲠᲐᲨᲘ

ᲙᲐᲛᲩᲐᲢᲙᲐ. ტუნდრაში დაიწყო საბჭოთა მეურნეობა „აპაჩინსკის“ მშენებლობა.

ნახევარკუნძულის მშრომელებმა აღიღეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის კურსი, რაც მათ დაეხმარება გადაჭრან ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა. იმ ტრასის გასწვრივ, რომელიც სოლქო ცენტრს ოხოტის ზღვის სანაპიროსთან და მდინარე კამჩატკის ხეობასთან აკავშირებს, აშენდა მექარტოფილეობის, მებოსტნეობის თანამედროვე აგროქალაქები. ოლქში კარტოფილის ერთ მესამედს აწარმოებს, მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა „ზარეჩნი“, რომელიც კამჩატკის პეტროპავლოვსკის თანამგზავრი გახდა. აქვე მთავრდება მეხორცეობა-მერძეობის კომპლექსის მშენებლობა. ბოსტნეულზე მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას ხელს შეუწყობს საბჭოთა მეურნეობა „თერმალნაიაში“ მოწესრიგება ობილ წყაროებზე მომუშავე სასათბურე ქალაქის გაფართოება. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ — 78

ᲡᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე 11.217 ჰექტარზე აიღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი, გეგმით ასაღებია 24 ათასი ჰექტარი.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. („კომუნისტის“ კორ.). გეგმით პურეული მოსამკელია 14.668 ჰექტარზე, აღებულია 9.622 ჰექტარი.

ᲡᲐᲑᲐᲠᲯᲝ. („კომუნისტის“ კორ.). პურეულის მოსავალი მომკილია 5.905 ჰექტარზე. გეგმით უნდა აიღონ 6.700 ჰექტარზე.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. („კომუნისტის“ კორ.). გეგმით გათვალისწინებული 7.000 ჰექტარიდან პურეული მომკილია 2.664 ჰექტარზე.

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. („კომუნისტის“ კორ.). გეგმით თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი უნდა აიღონ 4.585 ჰექტარზე, მომკილია 4.141 ჰექტარი.

ᲐᲮᲐᲛᲔᲢᲐ. („კომუნისტის“ კორ.). რაიონში ქერი და ხორბალი ასაღებია 6.000 ჰექტარი, აღებულია 4.226 ჰექტარი.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. („კომუნისტის“ კორ.). გეგმით პურეული მოსამკელია 8.158 ჰექტარზე, ფაქტიურად აღებულია 7.741 ჰექტარი.

ᲗᲘᲗᲝᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ. („კომუნისტის“ კორ.). სულ აღებულია 2.279 ჰექტარი, გეგმით უნდა აიღონ 9.679 ჰექტარი.

ᲑᲐᲠᲚᲐᲒᲐᲜᲘ. („კომუნისტის“ კორ.). თავთავიანი მარცვლეული კულტურები მომკილია 3.750 ჰექტარზე, გეგმით უნდა აიღონ 8.877 ჰექტარზე.

ᲑᲝᲚᲔᲜᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). წელს გეგმით პურეულის მოსავალი ასაღებია 6.007 ჰექტარზე, აღებულია 2.210 ჰექტარზე.

ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲧᲐᲜᲔᲑᲨᲘ



ᲞᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ მხარე. თავთავს იკეთებს პური ყუბანის უკიდეგანო სტეპებზე. დიდია წელს პურის ყანა — 1800 ათასი ჰექტარი. აქ სამუშაოდ გამოვა 16 ათასი კომბაინი, 60 ათასი ტრაქტორი, 20 ათასამდე მისაბმელი ურიკა, 11 ათასზე მეტი სამკელი მანქანა და 50 ათასამდე ავტომანქანა. მთელ ამ ტექნიკას მექანიზატორთა 150-ათასიანი არმია მოემსახურება.

მინდვრის მრავალფეროვან კომპლექსს დახსაბამს აძლევენ სამკელი მანქანების მემანქანეები და მელაფფეტები. სწორედ ისინი იწყებენ მუშაობას პურის ყანებში.

მოხალული ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსებისა და რაზმების შექმნის გამოცდილება ყუბანში საყოველთაოდ გავრცელდა. წელს მათი რიცხვი 1260-ს მიაღწევს. ყუბანელი მხვნელ-მთესველები შეთვე ხუთწლეულის მესამე წელს სახელმწიფოს მიაყიდიან 4300 ათას ტონა მარცვლეულს, აქედან 2 მილიონ ტონა ღონიერ და ძვირფას ხორბალს.

ტიმაშევსკის რაიონის „ისკრის“ კოლმეურნეობაში საშემოდგომო ნათესებს 5 ათასი ჰექტარი უკავია. მექანიზატორებმა დაიწყეს ქერის მკა.

წელს კოლმეურნეები სახელმწიფოს 16000 ტონა მარცვლეულს მიაყიდიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ᲧᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘ ᲥᲔᲠᲘᲡ ᲛᲙᲘᲐᲜ № 1 ᲛᲝᲰᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲔᲑ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

Ე. ᲨᲣᲚᲔᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲩᲐᲙᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ 23 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „სოფლისის“ პარტიულ და „ერასნაია პრესნიას“ საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე წარმატებით მიმდინარეობს საერთაშორისო გამოფენა „ქვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა და ტექნიკა“. პროგრესული ტექნოლოგია და უახლესი მოწყობილობა აქ წარმოადგინა 23 ქვეყნის 400-ზე მეტმა საწარმომ, ორგანიზაციამ და ფირმამ.

გამოფენა მოაწყვეს სსრ კავშირის მუუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტრომ და საავტო-სამრეწველო პალატამ. გამოფენაში ფართოდ მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები. მათი განყოფილებები მკაფიოდ ასახავენ სასურსათო და საავტო მანქანათმშენებლობის დარგში მიღწეულ შედეგებს. დიდალი სხვადასხვანაირი ექსპონატია წარმოდგენილი გამოფენის სხვა მონაწილე ქვეყნების პავილიონებში. სპეციალისტთა გამოცდილების ფართო გაზიარება ხელს უწყობს ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებას. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ გაიმართა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დამფუძნებელი კრება „სსრ კავშირ-კოლუმბიის“ მეგობრობის საზოგადოების შესაქმნელად.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ს. საგელიევი. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲘ ᲑᲐᲘᲙᲐᲚᲘᲡᲐᲜᲔ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲓᲔ

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲓᲔ დაადგეს ლიანდაგი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მორიგ გადასარბენზე — ულკანიდან ბაიკალის გვირაბის მიმართულებით. ფოლადის ლიანდაგმა ტაიგის წყალსავსე მდინარე უმბელას „გადაამბა“.

რკინიგზის მონტიორების კომკავშირულ-ახალგაზრ ღ უ ლ ი ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ლაკომოვი ხელმძღვანელობს, ყოველდღიურად სამუალოდ კილომეტრ რელსს აგებს, რაც ნორმას აღემატება. კოლექტივმა უკვე ორას კილომეტრზე მეტი ფოლადის ლიანდაგი დაგო.

ᲣᲚᲙᲐᲜᲘ, ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ

საერთაშორისო ცხოვრება
ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲚᲐᲪᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡ). ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲑᲝᲚᲛᲔ, ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲔᲠᲢᲝᲜᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲘᲚᲘ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ

რევოლუციონერი-დემოკრატი, მოაზროვნე, მწერალი



ნ. გ. ჩერნიშევსკი

ჩერნიშევსკი მართლაც ერთადერთი დიდი რუსი მწერალია, რომელმაც შეესძლო 50-იანი წლებიდან 1888 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის სიმაღლეზე დარჩენილიყო და ნეოკანტიანელების, პოზიტივისტების, მახისტების და სხვა ამრევთა საცოდავი ჩმახვა უკუეგდო. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შეესძლო, უკეთ რომ ვთქვათ, მას, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო ეს ვერ ეყოფა.

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი ენციკლოპედიური ტიპის მოღვაწე იყო; ფილოსოფოსი, მწერალი, კრიტიკოსი, ეკონომისტი, პუბლიცისტი ერთნაირად იყო მასში შერწყმული და ქმნიდა მისი რევოლუციური მსოფლმხედველობის მთლიან ნაგებობას. ამ მსოფლმხედველობის ერთ-ერთი წყარო იყო გერმანული კლასიკური ფილოსოფია, რომელიც ჩერნიშევსკის მიაჩნდა ევროპული ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალად. ჩერნიშევსკი პირველ რიგში ჰეგელის ფილოსოფიას გაეცნო და ითვისა. ჰეგელის დიალექტიკის ათვისებასთან ერთად ჩერნიშევსკიმ შეძლო უკეთეგდო ჰეგელის რაციონული სისტემა. ჩერნიშევსკიმ ჰეგელის დიალექტიკის მატერიალურ საფუძველზე დაყენებაზე ძლევამოსილ ბრძოლა გააბა. ჰეგელის ფილოსოფიის „ფეხებზე“ დაყენებაზე ... „ეს ... ...

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲙᲝᲕᲖᲘ ᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐᲗ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ „ᲕᲠᲔᲛᲘᲐᲜᲘ“ ᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲣᲡᲛᲘᲜᲔ Ზ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲠᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲘᲡ